



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება №663

თბილისი

18. 08 2010წ.

შპს „სატეო და კვების მრეწველობის ტექნოლოგიური ინსტიტუტის“
ლიცენზიაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-15 პუნქტის, მე-13 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და 36-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეტანილ იქნას ცვლილება 1992 წლის 15 სექტემბერს გაცემულ უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის №01-17-08/1419 ლიცენზიაში და ლიცენზიის მფლობელი იურიდიული პირის სახელწოდების ცვლილების თაობაზე უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში (რეესტრის №386) ჩაიწეროს შემდეგი შინაარსის ტექსტი:

„2010 წლის 06 აგვისტოდან შპს „სატეო და კვების მრეწველობის ტექნოლოგიურ ინსტიტუტს“ შეეცვალა საფირმო სახელწოდება და ეწოდა შპს „თბილისის ნიკო კეცხოველის სახელობის ინსტიტუტი“;

შპს „თბილისის ნიკო კეცხოველის სახელობის ინსტიტუტს“ შეეცვალა იურიდიული მისამართი და ახალი იურიდიულ მისამართად განისაზღვრა: საქართველო, გარდაბანი, დ. აღმაშენებლის ქუჩა №81.

2. დაევალოს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს, ბრძანების დაინტერესებული პირისთვის გაცნობა კანონით დადგენილი წესით;

3. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ბრძანების განთავსება სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე;

4. დაევალოს ეკონომიკურ დეპარტამენტს ლიცენზიაში ცვლილების შეტანის თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნება საქართველოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში - „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს აღმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6;

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი

აკაკი სეფურთელაძე